

პრესრელიზი

საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა ეკო აქციის -„დატოვე შენი მწვანე კვალი“ ფარგლებში გარემოს დაცვითი მიმართულებით სოციალურ -შემეცნებითი რადიო პროექტი მოამზადა.

29 აგვისტოს, მეშახტის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, ტყიბულში საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის დირექტორთა საბჭოს გასვლითი სხდომა გაიმართა. შეხვედრაზე საქნახშირი ჯი-აი-ჯის საწარმო პროცესის მიმდინარეობისა და დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შედეგები, ასევე სამომავლო გეგმების დეტალები განიხილეს. „საქნახშირი ჯი-აი-ჯის“ გენერალურმა დირექტორმა კომპანიის დირექტორთა საბჭოს ინფორმაცია მიაწოდა, იმ ახლადშექმნილი მართვის სტრუქტურის მუშაობის თაობაზე, რომელიც უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურის თანამედროვე სისტემის დანერგვას ითვალისწინებს და ორიენტირებულია სამუშაო პროცესში ადამიანური შეცდომის მაქსიმალურ მინიმალიზაციაზე.

შეხვედრაზე ეკოლოგიურ პროექტებსა და სხვადასხვა „მწვანე აქციებში“ ჩართულობის, ასევე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ინიცირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის საკითხებიც განიხილეს. როგორც „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“ს გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“ ტრადიციულად აგრძელებს, იმ ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც კომპანიის მიერ დამტკიცებული გარემოს დაცვითი წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებშია გათვალისწინებული.

დირექტორთა საბჭოს სხდომაზე, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის გენერალურმა დირექტორმა ლევან ჭოლაძემ, კომპანიის ახალ, მსხვილ საინვესტიციო პროექტის დეტალებზე ისაუბრა. კომპანია ტყიბულის მუნიციპალიტეტში 100-150 მგვტ. სიმძლავრის ნახშირზე მომუშავე ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობას იწყებს. ლევან ჭოლაძის განმარტებით პროექტის მნიშვნელობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული თბოელექტროსადგურისათვის საწვავის წყაროდ გამოყენებული იქნება ადგილობრივი სასარგებლო წიაღისეული, კერძოდ ტყიბულის მუნიციპალიტეტში განთავსებული მადაროებიდან მოპოვებული ქვანახშირი.

ახალი თბოელექტროსადგური სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იქნება სახელმწიფოს ენერგო უსაფრთხოებისთვის, ვინაიდან სადგურის ფუნქციონირება არ იქნება დამოკიდებული იმპორტირებულ ენერგეტიკულ საწვავზე, რაც განაპირობებს ენერგო უსაფრთხოებასა და მდგრადობას. თბოელექტროსადგური ხელს შეუწყობს ტყიბულის ქვანახშირის საბადოს გრძელვადიან და სტაბილურ განვითარებას. პროექტი ქმნის ქვანახშირის მოპოვების გაზრდის აუცილებლობას, რომელიც დამატებით წინასწარი კვლევებით დაახლოებით 300 სამუშაო ადგილის შექმნას უზრუნველყოფს და აღნიშნულ შემთხვევაში კომპანია ასევე განახორციელებს



პრესრელიზი

ნახშირის საბადოს ტექნიკური გადაიარაღებას. კომპანია აგრეთვე გეგმავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

შეგახსენებთ, რომ ინვესტიციის განხორციელების მიზნით 2014 წლის ივნისის თვეში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსა და შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“-ს შვილობილ კომპანია შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“-ს შორის გაფორმდა სამმხრივი ხელშეკრულება, რომლის თანამხადაც კომპანია ტყიბულის მუნიციპალიტეტში 100-150 მგვტ. სიმძლავრის ნახშირზე მომუშავე ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობას იწყებს.

ახალი თბოელექტროსადგური განსაზღვრული იქნება ქვეყნის გარანტირებული სიმძლავრის წყაროდ და ენერგოსისტემის საჭიროების შემთხვევაში მისი საპროექტო მაჩვენებლებისა და დადგმული სიმძლავრის საფუძველზე ყოველწლიურად ექნება 700,000,000 - 1,050,000,000 კვტ/სთ ელექტროენერჯის წარმოების (გენერაციის) შესაძლებლობა.

დირექტორთა საბჭოს სხდომის დაწყებამდე კომპანიის ხელმძღვანელობამ შეხვედრა მემახტეებთან გამართა.

21.08.2014

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

